ПРОЛЕТАРЕБО ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

СССР

კომუნისტი

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑ᭢ᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑ᭢ᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 226 (19667) ◆ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 1 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ, 1986 ᲬᲔᲚᲘ. ◆ ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐ�პ.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ



ᲝᲥᲢᲔᲣᲠᲘ ᲬᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ

ᲚᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ შეგნების განვითარება ყოველთვის რთული პროცესია, მაგრამ ახლანდელი ეტაპის თავისებურებამ განსაკუთრებული სიმწვავე მიანიჭა ბევრ თავისებურ პრობლემას, — სკკპ XXVII ყრილობაზე ნათქვამი ეს სიტყვები დღეს საქმიანობის ყველა სფეროში ამოსავალი წერტილია. იგი ერთგვარ სახელმძღვანელო პრინციპად უნდა იქცეს პროპაგანდისტებისათვის, როდესაც ისინი შეუდგებიან მეცადინეობას ეკონომიკური და პოლიტიკური განათლების ქსელში.

ახალი სასწავლო წლის დაწყებისას მომავლის ამოცანებზე საუბრამდე აუცილებელია გონების თვალი გადავავლოთ გასულ სასწავლო წელს. საჭირო გავაანალიზოთ, განვაზოგადოთ და შევინარჩუნოთ ყოველივე პოზიტიური, რაც შარშანდელმა წელმა მოგვცა, რაც ხელი შეუწყო პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების სისტემაში ჩვენს წარმატებას და ასე ავიყვანოთ ახალ საფეხურზე პროპაგანდისტული საქმიანობა.

წელსაც სასწავლო წლის დაწყებისათვის უკვე ყველა პირობა იყო შექმნილი იმისათვის, რომ წარმატებით შეუდგეს საქმიანობას პოლიტიკური განათლების მთელი ქსელი. პროპაგანდისტები უზრუნველყოფილი არიან სასწავლო გეგმებით და პროგრამებით, მეთოდიკური მასალების სასელმძღვანელოებით, სასწავლო და თვალსაჩინო დამხმარე ლიტერატურით.

წელს ახალი სასწავლო წელი ამ სისტემაში განსაკუთრებულ ვი[illegible]ებაში იწყება. ეს არის პირველი წელი სკკპ XXVII ყრილობის [illegible]ლეგ. ამიტომაც სწავლებისას უმთავრესი ყურადღება სწორედ [illegible] გადაწყვეტილებების ღრმა და საფუძვლიან“ შესწავლას უნდა [illegible]ეს. ყურადღება უთუოდ უნდა გამახვილდეს ქვეყნის განვითარე[illegible] თავისებურებათა შემცველ განზოგადებაზე, შეფასებაზე, დასკვ[illegible]ებზე, სოციალურ-პოლიტიკური განვითარების დაჩქარების პრობ[illegible]ლემებზე (პოლიტგანათლების სისტემის ძირითადი სასწავლო კურ[illegible]სი წელს ხომ ასე განსაზღვრა: „ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სტრატეგიული გეზია“). ყრილობისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებებშიც ხაზგასმულია, რომ სწორედ [illegible]ასწავლელი დღის თავისებურება ამწვავებს აგრერიგად მთელ რიგ პრობლემებს. უპირველესად თავად დაჩქარების ამოცანის მასშტაბურობა განსაზღვრავს საზოგადოებრივ ატმოსფეროს, მის ხასიათს. არ შეიძლება ერთხელ კიდევ ხაზი არ გავსვას იმ უადრესად მნიშვნელოვან გარემოებას, რომ, როგორც არაერთხელ აღნიშნულა, ხარვეზები, ნაკლოვანებები ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაში შედეგად მოჰყვა არა მხოლოდ სამეურნეო ხელმძღვანელობის შესუსტებას, არამედ სერიოზულ შეცდომებს იდეოლოგიურ საქმიანობაში.

არცთუ იშვიათად იდეოლოგიური ფრონტის მუშაკები გვერდს უვლიდნენ მწვავე, ცოცხალ ცხოვრებისეულ პრობლემებზე მსჯელობას, მათს დღის სინათლეზე გამოტანას, საქმის გამოსწორების რეალური გზების ძიებას და ამის ნაცვლად ხელოვნურ „ამპანიებს“ და სპექტაკლივით დადგმულ ღონისძიებებს სთავაზობდნენ ხალხს. წარსული უკვალოდ არ ქრება; აზროვნების ინერციის დაძლევა იოლი არ არის, ამიტომ მართებთ ენერგიული ძალისხმევა დღეს იმათ, ვისაც ამ ინერციის დაძლევა, ადამიანთა აზროვნებაში სასიკეთო ტენდენციების გაძლიერება ევალებათ. ხომ ცნობილია, რომ მართალ, გონივრულ სიტყვას ბევრი შეუძლია. ოღონდ ერთია: იგი უცილობლად უნდა შეუერთდეს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ ღონისძიებებს, რეალურ საქმეს. მხოლოდ ასე მივიღებთ ჭეშმარიტ უკუგებას. ჩვენი რესპუბლიკის საწარმოებში, შრომითის კოლექტივებში არა ერთი და ორი ადამიანი, ადამიანთა ჯგუფი იძლევა ამის საკუკეთესო ნიმუშს. თბილისის ფოლად-დუნგსამსხმელო ქარხნის მეკობეთა ბრიგადის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი გიორგი კურტანიძე, რომელსაც ჩვენი საზოგადოება უკვე კარგა ხანია იცნობს როგორც მუშაკს, პიროვნებას, იცნობს საქმისადმი მისი დამოკიდებულებით, საერთოდ ზნეობრივი პრინციპებით, კომუნისტური შრომის სკოლის პროპაგანდისტია. სიტყვა—თავისთვის, საქმე — თვითდინებით — ეს პრინციპი ბრიგადაში არ სწამთ. ამ ორ ცნებას — სიტყვა და საქმე — მხოლოდ ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში, ერთმანეთისაგან გამომდინარედ აღიქვამენ და კონკრეტულ შედეგებსაც აღწევენ — ბრიგადა მთელ რესპუბლიკაშია ცნობილი თავისი მიღწევებით. შარშან პროპაგანდისტ გ. კურტანიძის რეფერატმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პოლიტგანათლების რესპუბლიკური სახლის მიერ მოწყობილ რეფერატთა რესპუბლიკურ კონკურსზე გაიმარჯვა.

ამოცანა, რომელსაც პარტია გვისახავს დღეს, ნათელია: შემოვაბრუნოთ საზოგადოება ახალი ამოცანებისაკენ. მოვახმაროთ მათს გადაწყვეტას ხალხის, ყველა შრომითი კოლექტივის შემოქმედებითი პოტენციალი. აქედან გამომდინარეობს რესპუბლიკის პროპაგანდისტთა დიდი არმიის ამოცანებიც, რომელებსაც კიდევ უფრო აკონკრეტებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მასწონინდელი დადგენილება „1986-87 სასწავლო წელს მშრომელთა პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების ორგანიზაციის შესახებ“.

სკკპ XXVII ყრილობის მასალებთან ერთად მსმენელთა ყურადღება უნდა მიექციოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის ივნისის პლენუმზე დასახული ამოცანების რეალიზაციას; ყოველი მეცადინეობა, ყოველი საუბარი პრაქტიკულ საქმიანობასთან უმჯობესი კავშირით უნდა მიმდინარეობდეს. წინა პლანზე უნდა წამოვწიოთ ისეთი საკითხები, როგორიც არის წლიური გეგმებისა და ვალდებულებების შესრულება, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება, თვითღირებულების შემცირება, მომჭირნეობისა და ყირათიანობის რეჟიმის დაცვა, შრომის ახალ-ახალი მეთოდების დანერგვა, დისციპლინისა და რეჟიმის დაცვა და ა. შ.

ახლა პარტიულ ორგანიზაციებში მნიშვნელოვანი კამპანია — საანგარიშო-საარჩევნო კრებები მიმდინარეობს. აქ დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს მარქსისტულ-ლენინური სწავლების საკითხებს, კრიტიკულად უნდა მიუდგნენ ამ საქმეში წარსულში დაშვებულ შეცდომებს და ყოველი ღონე იხმარონ, რათა ისინი მომავალში აღარ განმეორდეს. ამასთან რეკომენდებულია, პარტიულმა ორგანიზაციებმა პროპაგანდისტებთან და ლექტორებთან ერთად სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდაში აქტიურად ჩაებან პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოების, პროფკავშირული და კომკავშირული კომიტეტების ხელმძღვანელები, ისინი, ვისაც უნარი შესწევს საკითხთა ღრმა ანალიზით, ცოცხალი, საინტერესო საუბრით დაიინტერესოს მსმენელი.

წლევანდელი სასწავლო წელი კიდევ ერთი თავისებურებით გამოირჩევა — „მიზანშეწონილად არის მიჩნეული, რომ 1986-1987 სასწავლო წელს პარტიულ ორგანიზაციებს მიენიჭოთ უფლება აირჩიონ სწავლების ფორმები, ამასთან იხელმძღვანელონ კოლექტივების თავისებურებებითა და მსმენელთა საწარმოო და საზოგადოებრივი საქმიანობის ხასიათით“, — ნათქვამია სკკპ ცენტრალური კომიტეტის ზემოხსენებულ დადგენილებაში. წლევანდელი სასწავლო წელი, ასე ვთქვათ, ერთგვარი ექსპერიმენტების მოწყობის წელად უნდა იქცეს, რაც გულისხმობს სწავლების ორგანიზაციისადმი ახლებურ, უფრო თანამედროვე მიდგომას; ესე იგი წელს უნდა განისაზღვროს ძირითადად მშრომელთა ინიციატივი და ეკონომიკური განათლებისა და აღზრდის სისტემაში პერსპექტიული სტრუქტურული ცვლილებები, ამასთან შესწავლილი და გამოყენებული უნდა იყოს მოძმე პარტიათა გამოცდილება.

პარტიულ ორგანიზაციებს რეკომენდაცია მიეცათ სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებების შესაბამისად ამა წლის დეკემბრისათვის მოამზადონ წინადადებები პოლიტიკური და ეკონომიკური სწავლების სისტემის შემდგომი გარდაქმნის შესახებ და იმსჯელონ მაიზე 1987 წლის პირველ კვარტალში. არსი ამ ღონისძიებებისა, რაღა თქმა უნდა, სწავლების ყველაზე ეფექტიანი ფორმებისა და მეთოდების ძიების გზით, აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის შემდეგ დაგროვილი გამოცდილების გამოყენებით ამ სწავლების სტრუქტურის შემდგომი დახვეწა და გაუმჯობესებაა.

ერთი სიტყვით, პროპაგანდისტთა არმიისათვის ამოცანა ნათელია. იგი საერთოდ ყრილობის მიერ იდეოლოგიური დარგის მუშაკებისათვის განსაზღვრული ამოცანიდან გამომდინარეობს — „ყველაზე არსებითი, რასაც უნდა მოვახმაროთ დღეს პარტიელი ზემოქმედების მთელი ძალა, — ეს არის მიღწევა იმისა, რომ ყოველ ადამიანს ესმოდეს ახლანდელი მომენტის სიმწვავე, მისი გარდამტეხი ხასიათი“. მხოლოდ ასეთი ცოდნით შეიარაღებული ადამიანები შეძლებენ გადაწყვიტონ ის გლობალური ამოცანები, პარტია რომ გვისახავს დღეს.

ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

ᲘᲜᲢᲔᲜᲡᲘᲣᲠᲘ ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝᲒᲘᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲗ

ᲬᲚᲔᲣᲚᲡ ინტენსიური ტექნოლოგიის მომარჯვებით წარმატებას მიაღწიეს მარნეულის რაიონის მებოსტნეებმა. გეგმით გათვალისწინებული 81 ათასი ტონის ნაცვლად მათ უკვე სახელმწიფოს მიჰყიდეს 87 ათას ტონაზე მეტი ბოსტნეული და გადაჭარბებით შეასრულეს ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი. პროდუქციის მიყიდვა გრძელდება. წლის ბოლომდე კიდევ დამზადდება ათასობით ტონა ბოსტნეული.

ამ წარმატებებში ღირსეული წვლილი შეიტანეს სოფელ წერეთლის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მშრომელებმა. მათ რაიონში ერთ-ერთმა პირველებმა შეასრულეს ნაკისრი ვალდებულება როგორც პროდუქციის წარმოების მოცულობის, ისე ასორტიმენტის მიხედვით. მეურნეობამ დაამზადა ათას ტონაზე მეტი პამიდორი. ეს საგეგმო დავალებას 100 ტონით აღემატება, ხოლო 550 ტონით სჭარბობს შარშანდელი შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს.

რა არის ამ წარმატების საფუძველი?

— 20 ჰექტარზე პამიდორი მოვიყვანეთ ასტრახანული მეთოდით — ინდუსტრიული ტექნოლოგიით, რომლის დროსაც თითქმის მთლიანად გამორიცხულია ხელის შრომა, — გვითხრა მეურნეობის დირექტორმა ვ. გაბელიამ, — გვეთესა პამიდვრის უხვმოსავლიანი ჯიში „ერმაკი“. მოწინავე ტექნოლოგიის შესასწავლად წლის დასაწყისში ასტრახანში სპეციალურად მივავლინეთ მეურნეობის მთავარი აგრონომი მ. მამარდაშვილი.

ინტენსიური ბოსტნის თითოეულ ჰექტარზე იჯარულმა ბრიგადამ (ბრიგადირი — ა. ხარშილაძე) ჰექტარზე საშუალოდ 500 ცენტნერამდე პამიდორი მიიღო, თითქმის სამჯერ მეტი, ვიდრე ჩვეულებრივი ნაკვეთიდან. ამასთანავე მთელი ამ ფართობის მოვლა-დამუშავებას ადვილად აუვიდა 20 მუშა, წინათ კი ამდენსავე ფართობს 120 მუშა სჭირდებოდა. მკვეთრად გაიზარდა შრომის ნაყოფიერებაც. ბრიგადაში თავისახელეს მექანიზატორმა ს. ძიძიბაძემ, მებოსტნეებმა — საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის დელეგატმა ვ. სამხარაძემ, ა. ფხალაძემ და სხვებმა.

წერეთლის საბჭოთა მეურნეობა მთლიანად 27 სახის ბოსტნეულსა და მწვანილს აწარმოებს. აქ ორმაგი გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე ხახვის მოსავლიანობის დავალება, ჰექტარზე მიღებულია 400 ცენტნერი. ბოსტნეულის რეალიზაციით მეურნეობის სალაროში წლეულს შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით ისევ ათასი მანეთით მეტი თანხაა შესული.

ბოსტნეულის მოსავლის აღება გრძელდება. შრომითი კოლექტივის გადწყვეტილებაა საგეგმო 4.180 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიჰყიდოს ხუთი ათასამდე ტონა ბოსტნეული.

დ. ᲑᲘᲦᲐᲫᲔ,
„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲗᲐᲕ. ᲙᲝᲠᲠ.

ᲝᲡᲢᲐᲢᲝᲑᲐᲪ ᲓᲐ ᲨᲘᲗᲐᲒᲝᲜᲔᲑᲐᲪ

ᲗᲔᲛᲘᲡ სააპარატო საამქრო „ᲕᲚ-15“ ახალი თორმეტლერძა ლოკომოტივისათვის ამზადებს თითქმის 130 დასახელების მაკომპლექტებელ კვანძებს, ძირითადად ეს არის რთული ელექტრული და ელექტრონული აპარატურა, რომელიც ლოკომოტივის მართვას უზრუნველყოფს. აქ მზადდება მასიური ელმავლის ყველაზე კომპაქტური დეტალები — ელექტრონული ბლოკები.

— ამჟამად „ᲕᲚ“-15“ ელმავლისათვის გაწყობთ დამუხრუჭების რეკუპერაციულ რეჟიმზე ავტომატური გადასვლის მოწყობილობას, რომელიც უზრუნველყოფს ლოკომოტივის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის დაახლოებით 15 პროცენტის დაბრუნებას საკონტაქტო ქსელში, — თქვა ბრიგადირმა ალექსანდრე ივანიშვილმა. — ეს სისტემა ჩვენმა კონსტრუქტორებმა შეიმუშავეს ამ სულ მალე აითვისეს წარმოებაში საამქროს მუშაკებმა. მინდა აღვნიშნო, რომ რეკუპერაციის ბლოკი განუწყვეტლივ უმჯობესდება. რაციონალიზატორებმა შექმნეს ინტეგრალურსქემებიანი მოწყობილობა, რომელიც უზრუნველყოფს ლოკომოტივის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის დაახლოებით 15 პროცენტის დაბრუნებას საკონტაქტო ქსელში, — თქვა ბრიგადირმა ალექსანდრე ივანიშვილმა. — ეს სისტემა ჩვენმა კონსტრუქტორებმა შეიმუშავეს ამ სულ მალე აითვისეს წარმოებაში საამქროს მუშაკებმა. მინდა აღვნიშნო, რომ რეკუპერაციის ბლოკი განუწყვეტლივ უმჯობესდება. რაციონალიზატორებმა

ᲛᲐᲚᲔ დაამთავრებენ მშენებლები კავკასიის საუღელტეხილო საავტომობილო გზის გაყვანას. პირველად ისტორიაში ამიერკავკასიას გვირაბი დააკავშირებს ჩრდილოეთ კავკასიასთან.

საუღელტეხილო ტრანსკავკასიის მაგისტრალი მთელ წელს იმუშავებს, ერთმანეთს დაუკავშირებს ჩრდილოეთ კავკასიის, ქვეყნის სამხრეთისა და ამიერკავკასიის რესპუბლიკების საავტომობილო გზებს.

სურათებზე: მრავალტონიანი ავტოსაწევრის მძღოლი ნიკოლოზ დოგუზოვი — სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს № 12 ტრესტის № 89 ხიდის რაზმის კოლექტივში გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების მეწინავე; 120 კილომეტრი სიგრძის საუღელტეხილო ტრანსკავკასიის მაგისტრალის ერთ-ერთი მშენებანი.

ლ. ᲒᲣᲡᲚᲘᲡᲗᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲡᲐᲑ᭢ᲝᲗᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲡᲐᲑ᭢ᲝᲗᲐ კავშირში უდიდესი ქმაყოფილებით აღიქვეს ატომური ენერგიის საერთაშორისო საგენტოს გენერალური კონფერენციის ვენაში დამთავრებული სპეციალური სესიის შედეგები. ბირთვული ენერგეტიკის უსაფრთხოების პრობლემები განიხილეს ურთიერთგაგებისა და პასუხისმგებლობის ვითარებაში.

ის, რომ კოლექტიური მეცადინეობით ესოდენ მოკლე დროში შეიმუშავეს კონვენციები ბირთვული ავარიების შემთხვევაში შეტყობინებისა და დახმარების შესახებ, და ისინი მოიწონა ატომური ენერგიის საერთაშორისო საგენტოს გენერალურმა კონფერენციამ და ხელი მოაწერეს მეტმა წილმა სახელმწიფოებმა, თანამედროვეობის აქტუალური პრობლემების ერთობლივი და ეფექტიანი გადაჭრის დამაჯერებელი მაგალითია.

ამით ხელმძღვანელობს საბჭოთა კავშირიც, რომელიც წინადადებას აყენებს კვლავაც ვიაროთ ბირთვული ენერგეტიკის უსაფრთხოების საერთაშორისო რეჟიმის შექმნის გზით. სახელმწიფოთა გაერთიანების განსაკუთრებულად მის მიერ წარმოდგენილი პროგრამის არსი ამის თაობაზე ის არის, რომ მშვიდობიანი მიზნებით ატომური ენერგიის გამოყენება გარანტირებულია შეცდომებისა და შემთხვევითობისაგან, რომელებაც შეიძლება მძიმე შედეგები მოჰყვეს ადამიანების სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის.

ვენის კონვენციებისა და სტოკჰოლმის მორიგებათა დადება უკუაგდებენ ჯერ კიდევ საკმაოდ გავრცელებულ შეხედულებებს, თითქოს შეუძლებელი იყოს რაიმე შეთანხმების მიღწევა უშიშროების საკითხებზე.

ვენაში ერთხელ კიდევ გაიმარჯვა სახელმწიფოთა ურთიერთობაში ურთიერთგაგების, ნდობისა და გულახდილობის დამკვიდრებისადმი ახალმა მიდგომამ. ეს გამოიხატა, კერძოდ, იმ აღიარებით, რომ საჭიროა შეტყობინება ბირთვული ავარიების, მათ შორის ბირთვული იარაღით ავარიისა და ბირთვული ენერგიის ობიექტებზე ადამიანების სიცოცხლეს ან ჯანმრთელობისათვის, ან ეკონომიკისა და ბუნებრივ გარემოზე ზეგავლენის მქონე ავარიების შემთხვევაში. ეს ასევე ეხება ბირთვული ენერგიის ობიექტებზე ტერორისტული ან სხვა ძალადობრივი ქმედებებით გამოწვეულ ავარიებს

სიწმინდე — პარტიულ რიგებს!

პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პლენუმი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გ. წულუკიძის სახელობის სამთო მექანიკის ინსტიტუტს 29 წლის ისტორია აქვს. იგი ამიერკავკასიაში ურთიერთი სპეციალიზებული სამეცნიერო დაწესებულებაა, სადაც მიმდინარეობს კვლევა სამთო დარგის ძირითადი პრობლემების განვითარების და სამთო მრეწველობაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების უზრუნველსაყოფად.

ინსტიტუტის 441 თანამშრომლიდან 259 მეცნიერი მუშაკია. პარტიულ ორგანიზაციაში 102 კომუნისტია, რომლებიც გაერთიანებულნი არიან სამ საამქრო პარტიულ ორგანიზაციაში. თავის მხრივ, საამქრო ორგანიზაციები ითვლიან 18 პარტიულ ჯგუფს.

დღეს სწორედ ერთ-ერთი მათგანის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე გვექნება ლაპარაკი.

ბეტონისა და რკინაბეტონის მიწისქვეშა ნაგებობების კოროზიისაგან დაცვის ლაბორატორიაში სულ 16 თანამშრომელია. აქ შექმნილ პარტიულ ჯგუფში „კი რვა წევრია. ესე იგი, თანამშრომლების ნახევარი კომუნისტია. საანგარიშო-საარჩევნო კრებას საავადმყოფო ფურცელზე მყოფი ერთი კომუნისტის გარდა ყველა ესწრებოდა და კამათშიც ყოველმა მათგანმა მიიღო მონაწილეობა. ასევე კრებაზე გამოვიდნენ ინსტიტუტის პარტბიურო-ს მდივანი ა. ქართველიშვილი, ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი ი. ზურაბიშვილი, რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ი. ჟორდანია, საქართველოს კომპარტიის თბილისის ორჯონიკიძის რაიკომის პირველი მდივანი დ. ბოჯგუა.

მიუხედავად იმისა, რომ კრება იშვიათი პრინციპულობითა და ურთიერთმომთხოვნელობის ნიშნით მიმდინარეობდა, აქ მაინც სიტყვა არ დაძრულა იმის შესახებ, რომ კომუნისტმა უხეშად დაარღვია სახელმწიფო თუ საშემსრულებლო დისციპლინა, ვინმემ სამუშაოზე დააგვიანა ან გააცდინა, ანდა რომელიმემ სპირიანი სასმელებისადმი მიდრეკილება გამოამჟღავნა და სხვა მისთანანი. არაშეთუ მარტო საანგარიშო პერიოდში, არამედ ბოლო წლებში როგორც პარტიულ ჯგუფში, ისე მთელ ლაბორატორიაში თანამშრომლების მხრიდან არ მომხდარა მორალური თუ ეთიკური პრინციპებიდან რაიმე სამარცხვინო გადახვევა, ლოობა, კინკლაობა, მეზობლური დავა, სამსახურებრივი ინტრიგა, წვრილმანი ხელიგნობა თუ სხვა რამე ისეთი საქციელი, რომელიც ჩირქს მოსცხებდა კოლექტივს. აქ ჩამოთვლილ ნაკლოვანებებს, რომლებიც, საბედნიეროდ, ზოგიერთ საწარმოს თუ დაწესებულებას ქრონიკულ ჭირად გადაქცეულა და დიდი ბრძოლა სჭირდებთ მის დასაძლევად, ინსტიტუტის ამ ლაბორატორიაში, მის პარტჯგუფში ხსენების ღირსადაც კი არა თვლიან, ვინაიდან ამ მხრივ ყველაფერი წესრიგში აქვთ და მათი აზრი, გონება, ინტელექტი და ნიჭი უფრო დიდი, მასშტაბური და რთული პრობლემებითაა დაკავებული.

კრებაზე სხა-ბაასის ტონი და შინაარსი უფრო ნათელი და გასაგები რომ იყოს, საჭიროა მოკლედ მაინც აღინიშნოს, თუ რას საქმიანობენ, რა პრობლემებისა და პასუხისმგებლობის წინაშე დგანან ლაბორატორიის თანამშრომლები, კომუნისტები.

ინსტიტუტის ლაბორატორიის (ხელმძღვანელი — ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი თ. ჩიტაიშვილი) მეცნიერული კვლევის ფარგლებში ბევრი რთული პრობლემა შედის. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ბეტონისა და რკინაბეტონის მიწისქვეშა ნაგებობათა მოცულობის მკვეთრი ზრდა და მძიმე ჰიდროგეოლოგიურ პირობებში მათი მშენებლობა მეცნიერების წინაშე აყენებს მზიდი კონსტრუქციების გამძლეობის საკითხებს. ამიტომ ამ ლაბორატორიაში ინტენსიური კვლევა წარმოებს ეგრეთწოდებული აგრესიული გარემოს ზემოქმედების შედეგად ბეტონში მიმდინარე კოროზიული პროცესების კინეტიკის შესასწავლად. ასევე დიდ მეცნიერულ კვლევა-ძიებას მოითხოვს ბეტონის კონსტრუქციების გამძლეობის ამაღლებისათვის საჭირო რეკომენდაციები და ღონისძიებათა დამუშავება.

ძალზე დიდია ლაბორატორიის კვლეევის არეალი: თბილისის მეტროპოლიტენი, მეტეხის ავტოსატრანსპორტო გვირაბი, გოგირდოვანი აბანოები, ჭითურის მაღაროები, ენინვალჰესისა და ენგურჰესების მიწისქვეშა და მრავალი სხვა სპეციალური დანიშნულების ნაგებობანი. მაგალითად, კვლევით დადგინდა, რომ ჩვენი დედაქალაქის ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები განიცდიან სულფატურ, გოგირწყალბადოვან და გამოტუტვითს კოროზიას. და აი, ინსტიტუტის თანამშრომლებმა მეცნიერულად დაადგინეს გოგირწყალბადოვანი კოროზიის მიკრობიოლოგიური ხასიათი.

ლაბორატორიის მნიშვნელოვან თეორიულ კვლევად უნდა მივიჩნიოთ სატამპონაჟო ხსნარების რეოლაჟსაციური და პლასტიკურ-დრეკადული თვისებების შესწავლა. ამ კვლევაში თავისი წვლილი შეიტანა უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატმა, საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატმა, კომუნისტმა ილია ჭაკუასელმა.

მოქმედი გვირაბებისთვის დამუშავებულია შეგაჯიდროიზოლაციის მეთოდი ახალი პოლიმერული კომპოზიციებისა და ფუნცლოვანი პოლიმერული მასალების გამოყენებით. აქ კი განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ლაბორატორიის ორმა მეცნიერმა მუშაკმა, კომუნისტებმა ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატმა პარტჯგუფორგმა გურამ აბაშიძემ და თეიმურაზ სოხრინსკიმ.

1980-1985 წლებში ლაბორატორიის მიერ შემოთავაზებული მეთოდებისა და რეკომენდაციების პრაქტიკაში დანერგვით სახელმწიფომ 1200 ათას მანეთზე მეტი ეკონომიკური ეფექტი მიიღო. ამავე ლაბორატორიის მუშაკების მიერ შემუშავებულმა კოროზიისაგან გვირაბის დაცვის მაკეტმა პლოვდივის (ბულგარეთი) საერთაშორისო გამოფენაზე დიპლომი დაიმსახურა.

როგორც ამ მეტისმეტად მოკლე და ძუნწი ცნობებიდან ჩანს, ლაბორატორიას რთული სამუშაო და საკმაო წარმატებები აქვს. მაშ, რაღაა მისი საჭირბოროტო პრობლემები?

ერთ-ერთი უპირველესია ლაბორატორიის მიერ მეცნიერული კვლევის შედეგების წარმოებაში დანერგვა. კომუნისტების მწვავე კამათის საგანიც სწორედ ეს იყო. მაინც რატომ არის, რომ ზოგიერთი მეცნიერული კვლევის შედეგი წარმოებაში ინერგება ნელა, უხალისოდ, გაჭიანურებით? ამას, როგორც საანგარიშო-საარჩევნო კრების მონაწილეებმაც აღნიშნეს, თავისი ობიექტური და სუბიექტური მიზეზები აქვს. კომუნისტებმა პირუთვნელად და ფუძეკრიტიკულად აღიარეს, რომ მათ მიერ შემოთავაზებულ მეცნიერულ გამოგონებას, წინადადებას თუ სიახლეს, რომელიც თეორიულად თითქოს სწორად და ზუსტადაა გაანგარიშებული, დანერგვის პროცესში, პრაქტიკული შემოწმებისას ირკვევა ხოლმე, რომ აკლია დახვეწა, სრულყოფა.

— ჩვენი ჯგუფის კომუნისტებს სწორედ აქ გვაქვს ყველაზე დიდი რეზერვი, — შენიშნა თავის მოხსენებაში პარტჯგუფორგმა გ. აბაშიძემ, — მუშაობა და კვლევის დონე ისე უნდა დავხმილიონი მანეთი ეკონომიკური ეფექტი.

ლაბორატორიის ოთხმა თანამშრომელმა შარშან მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პირველი პრემია მიიღო. ალბათ, ბევრ რამეზე მეტყველებს ასეთი ფაქტიც: თექვსმეტკაციანი კოლექტივიდან ერთი წლის განმავლობაში სკკპ წევრად და კანდიდატად მიიღეს ორი კაცი.

როგორც ვხედავთ და როგორც ეს საანგარიშო-საარჩევნო კრებაზეც ითქვა, ლაბორატორიის კოლექტივი და მისი პარტიული ჯგუფი ერთ-ერთი მოწინავე და სამაგალითოა მთელ კვლევითს ინსტიტუტში. რა არის წარმატების წყარო? პირადად მე ეს კომუნისტების საზოგადოებრივ აქტიურობაში დავინახე..

არ მინდა ვინმეს გული დავწყვიტო უნებლიეთ, მაგრამ მეცნიერთა შორის ზოგჯერ გვხვდებიან ხოლმე ისეთებიც, რომლებიც მეტად პრეტენზიულად იქცევიან, რაღაც განსაკუთრებულ პირობებსა და შეღავათებს ითხოვენ ხოლმე და, აქაოდა, მეცნიერულ შრომაში ხელი არ შეგვეშალოსო, სულ პაწაწინა საზოგადოებრივ დავალებასაც კი თავს არიდებენ. ასეთ შემთხვევაში ისინი კოლექტივში ტრიალებენ, კოლექტივში იღვწიან, ფაქტობრივად კი კოლექტივს მოწყვეტილი არიან და არა გაეგებათ რა მისი ავ-კარგისა.

ამ ლაბორატორიაში პირიქითაა: კომუნისტს ვერ ნახავთ, რომ პასუხსაგები საზოგადოებრივი დავალება არ ჰქონდეს. ეს ხელს როდი უშლით მეცნიერულ კვლევაში. პირიქით, ეფორი აქტიური პოზიცია უჭირავთ, გრძნობენ კოლექტივის, ინსტიტუტის, რესპუბლიკის მაჯისცემას, ყველა საქმის ასავალ-დასავალი კარგად იციან და ეს ცოდნა უფრო მეტ პრინციპულობას და ურთიერთმომთხოვნელობას მატებთ. მაგალითად, ლაბორატორიის ხელმძღვანელი თამაზ ჩიტაიშვილი ინსტიტუტის სამრეწველო თათბირის თავმჯდომარე, ეკონომიკური სწავლების სკოლის სემინარის ხელმძღვანელია.

მიხეილ ხითარიშვილი გაერთიანებული ლაბორატორიების (ცხრა ლაბორატორია და ერთი ეინგრგვის ჯგუფი) სამჭრეთ პარტიული ორგანიზაციის მდივანი და სამოქალაქო თავდაცვის შტაბის უფროსის მოადგილეა. პარტჯგუფორგი გურამ აბაშიძე ეკონომიკური სწავლების სემინარის ხელმძღვანელია. ილია ჭაკუასელი ახალგაზრდა მეცნიერთა რესპუბლიკური საბჭოს თავჯდომარის მოადგილე და ინსტიტუტის დისციპლინური კომისიის წევრია, მარადი ხუციშვილი კი პოლიტინფორმატორია. სხვებს არც კომუნისტი თეიმურაზ სოხრინსკი ჩამორჩა—მას ინსტიტუტში იცნობენ როგორც საწარმოო თათბირის თავმჯდომარის მოადგილეს და რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა საზოგადოების თავჯდომარის მოადგილეს. ლ. ღურჭაულია, რომელიც სულ მალე საკანდიდატო დისერტაციას დაიცავს, ინსტიტუტის საეკსპერტო კომისიის სწავლული მდივანია, ხოლო ემზარ გუჯეჯიანი, რომელიც პარტჯგუფორგად აირჩიეს, ინსტიტუტის ხელსაწყო-მოწყობილობათა გამოყენებისა და ნახვის კომისიის წევრია. მაგრამ ეს წევრობა ფორმალური, მხოლოდ ქაღალდზე კი არ არის, არამედ ნამდვილი, აქტიური და შედეგიანია. კრებაზე მსჯელობისას სწორედ ამას გაესვა ხაზი.

ინსტიტუტის ხელმძღვანელებმა სიტყვაში გამოსვლისას ზუსტად და პირუთვნელად შეაფასეს თითოეული კომუნისტის საზოგადოებრივი აქტიურობა, ამ აქტიურობის შედეგი და ის გავლენა, კეთილისმყოფელად რომ მოქმედებს მთლიანად კოლექტივზე.

ჯ. მეხრიშვილი.

თითოეულის აქტიურობა საერთო ძალაა

დაჩქარების ბერკეტები

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების ამოცანა მნიშვნელოვანწილად ეხება პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემასაც, მის თითოეულ რგოლს, ყოველ უბანს: ეს ამოცანა ხომ პრაქტიკულად უნდა გადაჭრან ახალგაზრდა კვალიფიციურმა მუშათა კადრებმა, რომელთაც ძირითადად საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები ამზადებენ.

საქართველოს სსრ პროფტექგანათლების სახელმწიფო კომიტეტის კოლეგიამ განიხილა კვალიფიციური მუშათა კადრების მომზადების მდგომარეობის საკითხი პროფესიათა იმ ჯგუფის მიხედვით, რომლებიც განსაზღვრავენ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას. ამ ჯგუფს მიეკუთვნებიან: ფართო პროფილის მეჩარხე, ხარატი, პროგრამული მართვის ჩარხების ოპერატორი, ელექტრონული გამომთვლელი მანქანების ოპერატორი, პროგრამული მართვის ჩარხებისა და მანიპულატორების გამმართველი. ამ სპეციალობათა კადრებს ამზადებენ რუსთავის მე-3, თბილისის მე-6, 96-ე, 97-ე საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები.

რა მდგომარეობაა დღესდღეობით რესპუბლიკის სასწავლებლებში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების უზრუნველსაყოფად?

როგორც კოლეგიაზე აღინიშნა, რესპუბლიკის საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები შეუდგნენ ახალგაზრდა კვალიფიციური მუშათა კადრების მომზადებას, რომლებიც თავად ქმნიან და ეფექტიანად იყენებენ ახალ ტექნიკას, ნერგავენ ავტომატიზებულ საწარმოო პროცესებს კომპიუტერების, რობოტების, მიკროპროცესორების მეშვეობით. ასეთი მუშათა კადრები ამჟამად მზადდება პირველ, მე-3, მე-4, მე-6, 112-ე სასწავლებლებში (ფართო პროფილის მეჩარხის სპეციალობით, 164 ახალგაზრდა). პირველი, მე-3, მე-4, მე-6, მე-8, 95-ე და 112-ე სასწავლებლები ამზადებენ ხარატებს და რიცხვული პროგრამული მართვის ჩარხების ოპერატორებს (500 კაცი), ხოლო 97-ე საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში 33 ახალგაზრდა მიიღებს ელექტრონული გამომთვლელი მანქანის ოპერატორის სპეციალობას.

საბაზო საწარმოთა დახმარებით დღითი დღე უმჯობესდება და სრულყოფილი ხდება სასწავლებლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზები, ისინი აღიჭურვებიან ახალი, თანამედროვე გამოთვლითი ტექნიკით, ჩარხებით, რობოტებით, სხვადასხვაგვარი მოწყობილობით, რაც უზრუნველყოფს ახალგაზრდა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისადმი ადეკვატურ კვალიფიციურ მუშათა კადრების მომზადებას ახალი პროფესიების მიხედვით (96-ე სასწავლებელი); 97-ე საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში მონტაჟდება დისპლეის კლასი ელექტრონული გამომთვლელი მანქანების ოპერატორების მოსამზადებლად.

რამდენადმე უმჯობესდება ინჟინერ-პედაგოგთა კადრების ხარისხობრივი შემადგენლობა (მე-6, 95-ე საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები).

ყოველივე ამან ხელი შეუწყო სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შესრულების პირობების გაუმჯობესებას, მოსწავლეთა პროფესიული მომზადების ხარისხის ამაღლებას. მეთოდიკურად გამართულ გაკვეთილებს ატარებენ საწარმოო სწავლების ოსტატები ა. ლომიძე, მ. ლაბაძე (95-ე საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი), ვ. შავლოხაშვილი (მე-6), ნ. ტურაშვილი (97-ე), მასწავლებელი ო. ეფიმოვი (95-ე) და სხვა პედაგოგები.

ხარატების, ავრეთვე რიცხვული პროგრამული მართვის ჩარხების ოპერატორების რესპუბლიკურ კონკურსზე კარგი თეორიული მომზადება და პრაქტიკული უნარი გამოამეღავნეს ქ. თბილისის მე-6, 95-ე საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების აღსაზრდელებმა; რიცხვული პროგრამული მართვის ჩარხებზე მუშაობის საფუძვლიანი ცოდნა გვიჩვენეს წულუკიძის მე-8 პროფტექნიკურის მოსწავლეებმა.

კარგად არის ორგანიზებული 95-ე საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის აღსაზრდელთა საწარმოო პრაქტიკა დიმიტროვის სახელობის ქარხანაში, 97-ე საშუალო პროფტექნიკურის მოსწავლეები გაერთიანება „ელვაში“ წარმატებით ეუფლებიან ახალი ტექნიკის მომსახურების პროფესიებს.

დიმიტროვის სახელობის ქარხანა ნაყოფიერ დახმარებას უწევს 95-ე პროფტექნიკურის მოსწავლეთა საკონსტრუქტორო ბიუროს საწარმოს რობოტების შექმნაში. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერები ხალისით უძღვებიან მე-6 პროფტექნიკურის მოსწავლეთა საკონსტრუქტორო ბიუროს საქმიანობას, რომლის წევრები გულმოდგინედ მუშაობენ მცირეგაბარიტიანი ჩარხ-ტრენაჟერის შესაქმნელად, რომელიც დაფუძნებენ რიცხვული პროგრამული მართვის პრინციპს.

ყოველივე ეს, შეიძლება ითქვას, მხოლოდ პირველი ნაბიჯებია ეროვნული საგანმანათლებლო სისტემის სასწავლებლებში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისადმი ადეკვატური კვალიფიციურ მუშათა კადრების მომზადებისა.

ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში შეინიშნება არსებითი ხასიათის ნაკლოვანებები. ეს, უპირველეს ყოვლისა, ითქმის ზოგიერთ საწარმოს საწარმოზე, რომლებიც საკარის ყურადღებას და დახმარებას არ უწევენ პროფტექნიკურ სასწავლებლებს ახალ პროფესიათა ეტაპამისად სასწავლო-ტექნიკური ბაზის მოწყობაში, რის გამაც ყველგან ვერ სრულდება თანამედროვე ტექნიკის მომსახურებისათვის პროფესიების ათვისება. ჯერ კიდევ არიან მასწავლებლები, რომლებიც დაბალ თეორიულ და მეთოდიკურ დონეზე ატარებენ მეცადინეობას, სასწავლო მუშაობაში არ შეაქვთ კორექტირება, უყურადღებოდ რჩებათ ტექნიკური სიახლეები. მასობრივად კი არის დანერგილი ინფორმატიკის საფუძვლებისა და გამოთვლითი ტექნიკის სწავლება, არასაკმარისია ამ საგნის კაბინეტი შესასწავლ პროფესიებთან.

კოლეგიაზე მოწვეული იყვნენ იმ საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, რომელთაც ევალებათ ზემოთ დასახელებული სასწავლებლებისათვის ხელშეწყობა და ამ ახალი ტექნიკით უზრუნველყოფა მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების დასაჩქარებლად. თბილისის კიროვის სახელობის საწარმოო გაერთიანება „ჩარხმშენებლის“ დირექტორის მოადგილემ ი. ნაცვლიშვილმა, თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო საწარმოო გაერთიანების კადრების განყოფილების უფროსმა თ. ბაგრამიძემ, გაერთიანება „ელვის“ მთავარი ინჟინრის მოადგილემ ლ. აზატოვმა, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კადრების განყოფილების უფროსმა შ. საყვარელიძემ და სხვა ორგანიზაციათა წარმომადგენლებმა კონკრეტული მოსაზრებები გამოთქვეს თავიანთი საშეფო სასწავლებლებისათვის დახმარების შემდგომი გაძლიერებისათვის, რაც ახლო მომავალში მათს საწარმოებს მნიშვნელოვან უკუგებას მისცემს, ხელს შეუწყობს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას.

გ. ალავერდაშვილი,
საქართველოს სსრ პროფტექგანათლების სახელმწიფო კომიტეტის პრესცენტრის უფროსი.

პირუტყვის წარმატებით გამოზამთრებისათვის, 1985-1986 წლების ზამთრის პერიოდში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და შესყიდვის გადიდებისათვის ჩხოროწყუს რაიონი ცნეს საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულად. მთის რაიონის მოწინავე კოლმეურნეობათა შორის ახალელენენ სოფელ ნაფიჩხოვის კ. მარქსის სახელობის კოლმეურნეობას. გასულ ზამთარს აქ საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწიეს: სახელმწიფოს მიჰყიდეს მეცხოველეობის დიდძალი ზეგეგმითი პროდუქცია. გრაფიკის გასწრებით მუშაობენ კოლმეურნეები ახალი ხუთწლედის პირველ წელსაც. მთა სახელმწიფოს გეგმის გადაჭარბებით მიჰყიდეს ტონობით რძე და ხორცი.

კ. მარქსის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე როინ გოგუა მოზარდეულის პროფილაქტიკური შემოწმებისას.

ბ. ძიბავაძის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

სურათზე: ვეტექიმი იგორ დარასელია და

დამახინჯებანი ალიკვეთება

სსრ კავშირის გენერალური პროკურორი ა. მ. რეკუნკოვი ესაუბრება „იზვესტიის“ კორესპონდენტს უშრომელი შემოსავლის შესახებ კანონის გამოყენების პრაქტიკის თაობაზე

— კატეგორიულად ალექსანდრე, უკვე ოთხი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენს გაზეთში გამოქვეყნდა თქვენთან საუბარი პატიოსან და უპატიოსნო შემოსავალზე. ცხოვრებამ ჩვენს წინაშე უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის კონკრეტული საკითხები წამოჭრა. ამ საკითხებში გადამეტებისა და დამახინჯებათა შესახებ ლაპარაკი იყო რამდენიმე მასალაში... რამე თუ იცინა პროკურატურამ შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად?

— ჩვენ განვახორციელეთ რამდენიმე ღონისძიება, მათ შორის გავმართეთ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების და ოლქების პროკურორების თათბირები, რომლებზეც განვიხილეთ უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ბრძანებულების გამოყენებაში გადამეტებასთან დაკავშირებული საკირბოროტო საკითხები. ყოველივე ეს დაწვრილებით გაანალიზდა. კერძოდ, ითქვა, რომ, თუ მძღოლმა გადაიყვანა ხალხი, რომელსაც ბაზარში სოფლის მეურნეობის პროდუქტები მიჰქონდა, ეს ბრალად — კანონის დარღვევად არ უნდა ჩაეთვალოს. უშრომელი შემოსავლის შესახებ კანონი უწინარეს ყოვლისა ბოროტ დამრღვევებს დევნის. მათ მიეკუთვნებიან მეერთამეები, თაღლითები, სპეკულანტები, გადაყიდველები და ა. შ.

— თქვენ გადამყიდველები მოიხსენიეთ. ისინი ბაზრებში საქმიანობენ. ხომ არ ხდება ხოლმე ისე, რომ ამის მსხვერპლნი ხდებიან პატიოსანი ადამიანები, რომლებსაც თავიანთი პროდუქტები აქვთ ჩატანილი?

— რაც შეეხება ბაზარს, იგი რთული მექანიზმია და ფრთხილ მიდგომას მოითხოვს. ჩვენ მას დღენიადაგ უნდა ვსწავლობდეთ, და თუ მართლაც გამოვლინდებიან გადამყიდველები, ადამიანები, რომლებიც თავიანთი სარფის გულისთვის ფასებზე გავლენას ახდენენ, მიმწოდებლების სპეციალურ ქსელს ქმნიან, ასეთებს დაუნდობლად უნდა ვებრძოლოთ, და ამას ვაკეთებთ კიდეც. მაგრამ ისე, რომ ბაზარს პროდუქცია არ მოაკლდეს. დამრღვევს კი კანონიერი გზით უნდა აღვუკვეთოთ უკანონო მოქმედების საშუალება. და, რაღა თქმა უნდა, არავითარ შემთხვევაში, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება კანონის რაიმე დარღვევა იმ კეთილსინდისიერი ადამიანების მიმართ, რომლებსაც თავიანთი საკუთარი პროდუქციის გაყიდვა სურთ.

— რედაქციაში რამდენიმე წერილი მივიღეთ იმის შესახებ, რომ ავტომობილების მძღოლებს აღარ გადაუყვათ გზად შემოხვედრილი ხალხი. ცალკეულ შემთხვევებში კი, თუ წაიყვანეს, სამშავს ახდევინებენ რიცხასათვის. რა შეგვიძლია დავუპირისპიროთ ამგვარ პრაქტიკას?

— უწინარეს ყოვლისა უნდა მოგახსენოთ, რომ უშრომელი შემოსავლის შესახებ კანონმდებლობის გამოყენების თაობაზე მე და შინაგან საქმეთა მინისტრმა გამოვეცით ერთობლივი მითითება, რომელშიც ზუსტად არის ჩამოყალიბებული, თუ როგორ უნდა იმოქმედონ ბრძანებულების შესაბამისად სამართალდამცავი ორგანოების მუშაკებმა და ვის მიმართ უნდა გამოიყენონ რაც შეეხება თქვენს კითხვას, შეიძლია გითხრათ, რომ საკმაო რაოდენობით რომ იყოს სარეისო ავტობუსები და სატვირთო ტაქსები, მოქალაქენი გზაში ხელს აღარ აუწევდნენ მანქანებს. ჩასხდებოდნენ ავტობუსში და წავიდოდნენ. იაფიც არის და მოსახერხებელიც. მაგრამ ჩვენი ქვეყანა ხომ უზარმაზარია, ბევრი დასახლებული პუნქტი ძალზე შორს არის რეგულარული საავტობუსო ხაზებიდან, იქ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, აგრეთვე ინდივიდუალური ტრანსპორტით თუ ჩახვალთ.

— იქნებ საჭიროა, ამასთან დაკავშირებით საქმეში გაერკვეთ სამართალდაცვითი ორგანოები, კერძოდ, — სახელმწიფო ავტოინსპექცია?

— ამის თაობაზე მიკვლეულია მტკიცე და ნათელი მითითებანი, რომლებიდანაც გამომდინარეობს, რომ მძღოლი პასუხს არ აგებს, თუ პატივი სცა კაცს და დანიშნულების ადგილას ჩაიყვანა.

— ეს მაშინ, თუ მუქთად გადაიყვანა. მაგრამ, ვთქვათ და, მანეთი გამოართვა? ამბობენ, ამისთანა შემთხვევებში ამაზე მეტს არ იძლევიანო.

— დიახ, ეს შეეხება იმ შემთხვევებსაც, როცა მანეთი აიღო. მაგრამ ამეამად ზოგან საკითხს სხვაგვარად წყვეტენ. შოფრებს ტალონებს აძლევენ და ამ ტალონებს, ასე ვთქვათ, ბილეთებად ურიგებენ თავიანთ შემთხვევითს მგზავრებს. ტალონებზე აღნიშნულია თანხა, მძღოლი მოქალაქისგან ფულს მიიღებს და თავისი ავტოსაწარმოს სალარაზე შეიტანს. ამ თანხის ნაწილს შემდეგ შოფერს უხდიან.

— მერედა, რომელი ბრძანებებით, მითითებებით თუ ინსტრუქციებით არის შემოღებული ეს?

— ჯერჯერობით საერთო კანონმდებლობის წესით ეს საკითხი არ დაწყწყვეტილა. ეს არც არის საკადლებულო. საკითხი ადგილობრივი საბჭოების კომპეტენციას განეკუთვნება. მთავარია ყველამ შეიგნოს: ბრძანებულება მიმართულია იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებიც ჯიბეს ისქელებენ, ცდილობენ რაც შეიძლება მეტი წაგლეჯონ, მოატყუონ ხალხი...

— მინდა თქვენი ყურადღება მივაპყრო ერთ ფრაზას, რომელიც რედაქციამ მიიღო. კინომექანიკოსი კალინინის ჩერნოვიცის ოლქის ქალაქ ზასლავიდან გვწერს: „ჩვენს კინოქსელს ოთხი ავტომანქანა ყოფილა. რაკი სარემონტო სამსახურა არა გვაქვს, უშუალო მოვალეობის გარდა ამ საქმესაც ვასრულებ — ავტომანქანების ვარემონტებ. თავის მხრივ მძღოლებს ჩემი თხოვნით ჩემი საოჯახო ნივთები, ან სხვა რამ, რაც დამჭირდებოდა, გადაბქონდათ. უშრომელი შემოსავლის შესახებ ბრძანებულების გამოსვლის შემდეგ მძღოლებმა უარი მითხრეს ბოსტნიდან კარტოფილი გადმოზიდათ. მეც თავი დავანებე მანქანის შეკეთებას, რომელიც ორ დღეს იდგა გაფუჭებული. ჰოდა, ვართ ასე. მგლებივით ვუყურებთ ერთმანეთს, საერთოდ კი სახელმწიფო ინტერესები ილახება. განა ეს საქმეა?“.

— მე მგონია, ეს უბრალოდ გაუგებრობაა. ადამიანების ურთიერთობა, ადამიანებისა და ორგანიზაციების ურთიერთობა ადამიანურად უნდა დარჩეს. თუ ერთმა მეორეს რაღაც შეუკეთა, ამან კი ბოსტნიდან კარტოფილი გადმოუზიდა, განა შეიძლება ეს რაიმე კანონის დარღვევად ჩავთვალოთ?

— მეც ასე მგონია. მაგრამ, როგორც ჩანს, ასეთ შემთხვევებში პრაქტიკა ხალხს აიძულებს ერიდოს უსიამოვნებას.

— იმიტომ, რომ თავიდანვე ზოგან დამახინჯებულად იყენებდნენ ბრძანებულებას, იოლ გზას დაადგნენ, ასე ვთქვათ, ფოთლებს სხეპავენ, ფესვს კი არ ჩასდიან — ეს ხომ რთული საქმეაო! ჰოდა, ამით ბევრი გაანაწყენენს. ეტყობა, ყველამ ერთბაშად ვერ შეიგნო, და დღესაც ყველას არ ესმის უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კანონის აზრი და დანიშნულება.

— მინდა გაგაცნოთ კიდევ, აი, ეს წერილი. მას კრასნოდარის მხარის კუშჩევკის რაიონის სოფელ კრასნოეს 49 მცხოვრები აწერს ხელს. აი, რას გვწერენ: „თითქმის ყველანი საბჭოთა მეურნეობაში ვმუშაობთ. საკარმიდამო ნაკვეთებზე ბირადი ბოსტნეულისათვის მოგვყავს ბოსტნეული და ხილი. ზედმეტს ვყიდით. არაერთხელ მიგვიმართავს შესაბამისი ადგილობრივი ორგანიზაციებისათვის და გვითხოვია მოეწყოთ მოსახლეობისაგან სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესახებ პუნქტები. მაგრამ ჩვენს თხოვნას ყური არავინ ათხოვა. სამაგიეროდ ყოველი ჩვენგანისათვის მრავალჯერ დაუბრალებიათ, თითქოს ბოსტნეული, ხილი და ყვავილები ჯიბის გასქელების მაზნით მოგვყავდეს. გამოდის, რომ ჩვენ წამგლეჯები და სპეკულანტები ვყოფილვართ. უშრომელი შემოსავალი გაქვთ და ეს არისო თქვენი ცხოვრების მიზანი. ეს ბრალდებანი უშრომელი შემოსავლის შესახებ ბრძანებულების გამოსვლის შემდეგ მუქარად, შემდეგ კი უშუალო მოქმედებად გადაიზარდა. ბევრი ჩვენი მცხოვრები სოფლის საბჭოს ადმინისტრაციულმა კომისიამ 50 მანეთით დააჯარიმა „საკარმიდამო ნაკვეთის არასწორად გამოყენებისათვის“. მაგალითად, შრომის ვეტერანს ბელოუსოვს, რომელსაც ოთხი შვილი და პენსიონერი ცოლი ყავს, სახლთან მიწის ნაწილი ჩამოაჭრეს, ეს ოჯახი კი პრაქტიკულად ამ ბოსტნით ირჩენს თავს“.

— აბა, მაგას რაღა თქმა უნდა, გადამეტებაა. რას ნიშნავს „საკარმიდამო ნაკვეთის არასწორად გამოყენება“? კაცს უფლება აქვს თვითონ გადაწყვიტოს, თუ რას მოიყვანს ამ ნაკვეთზე, და აქ არავითარი სავალდებულო ნორმები არ არსებობს. თუ კაცი გაისარჯა, პროდუქცია მოიყვანა, შემდეგ კი მისი გაყიდვა მოისურვა, ამაში არავინ არ უნდა შეუშალოს ხელი. საბჭოთა მეურნეობის ადმინისტრაცია კი მოვალეა ყოველნაირად დაეხმაროს ხალხს ასეთი განზრახვის შესრულებაში.

— თუ სწორად გაგიგეთ, საჭირო ყოფილა, რომ კრასნოდარის მხარის პროკურატურამ განიხილოს აღნიშნული შემთხვევა და, აღადგინოს კანონიერება.

— ასეთი დავალებას მივცემთ. და თუ კოლექტიურ წერილში აღწერილი ვითარება დადასტურდა, მდგომარეობა გამოსწორდება. ისინი კი, ვისი ბრალიც იყო ყოველივე ეს, შესაბამისად დაისჯებიან.

**— ძალიან კარგი. ეს მარტოოდენ სოფელ კრასნოეს მცხოვრებთ როდი გაახარებთ. ამგვარი გადამეტებანი სხვაგანაც ხდება. ამასთან დაკავშირებით მინდა წაგიკითხოთ აი, ეს წერილიც, იგი სომხეთის სსრ

ივანე ბერიტაშვილის სახელობისა

ნახევარი საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით თბილისის უნივერსიტეტში გაიხსნა ქართველ ფიზიოლოგთა სახუდარი — ფიზიოლოგიის ინსტიტუტი, რომელიც დღეს მისი მესაძირკვლის ივანე ბერიტაშვილის სახელობისაა.

მეცნიერებისა და, საერთოდ, საქვეყნო საქმისათვის თავგადაგებული მოამაგის ივანე ჯავახიშვილის თაოსნობით გახსნილ თბილისის უნივერსიტეტში, 1919 წელს ოდესიდან მოიწვიეს და პროფესორად აირჩიეს პეტერბურგში მეცნიერებას ნაზიარები, გამოჩენილი რუსი ფიზიოლოგის ნიკოლოზ ვედენსკის ლაბორატორიაში განსწავლული ივანე ბერიტაშვილი. ამ დროისათვის უკვე საკმარისად სახელმოგვეჭილმა ახალგაზრდამ სასწაულებრივი რამ მოიმოქმედა: რამდენიმე წელიწადში იქ, სადაც არც ფიზიოლოგიური კვლევის ტრადიციები იყო და არც ამ კვლევისათვის აუცილებელი ბაზა, შექმნა კარგი ფიზიოლოგიური ლაბორატორია, აღზარდა ჩინებული მკვლევარები და ჩამოაყალიბა ქართული ფიზიოლოგიური სკოლა.

დადგა დრო და მეცნიერებაზე ფანატიკურად შეყვარებული ახალგაზრდა ოცდაათიან წლებში უკვე შეუდგა ზრუნვას, რომ თბილისში ისეთი კერა შექმნა, სადაც შესაძლებელი იქნებოდა სასიცოცხლო პროცესთა მრავალმხრივი კვლევა და ექსპერიმენტატორის ნიჭით დაჯილდოებულ მეცნიერთა აღზრდა. ი. ბერიტაშვილისა და მის თანამოსაგრეთა მრავალი გარჯის შედეგად 1936 წელს ორი კვლევითი დაწესებულება გაერთიანდა და ქართველ ფიზიოლოგთა ნანატრი ფიზიოლოგიის ინსტიტუტიც გაიხსნა. ეს ინსტიტუტი 1941 წელს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დაარსებისთანავე, აკადემიის სისტემაში გადავიდა.

დღეს, როცა ინსტიტუტის დაარსებიდან 50 წელი გავიდა, შეგვიძლია თავმოწონებით გავხედოთ ამ ინსტიტუტის მიერ გავლილ აღმართიან გზას და თან ერთგვარი სიამაყითაც ვთქვთ, რანი ვიყავით გუშინ, რანი ვართ დღეს და რას გვპირდება ინსტიტუტის მუშაობის სამომავლო გეგმა.

1941 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტში მხოლოდ 4 ლაბორატორია მუშაობდა. სამ მთგანს ინსტიტუტის დამაარსებელმა სათავეში ახალგაზრდა მკვლევარები ჩაუყენა, ხოლო მეოთხეს თვით ბატონი ივანე ხელმძღვანელობდა. ამჟამად კი ინსტიტუტში 19 ლაბორატორია და ერთი დიდი სექტორია. სექტორსა და ლაბორატორიების უმრავლესობას მრავალნაციები და ყოველდღიური ცხოვრებისა და ექსპერიმენტატორის ნიჭით დაჯილდოებულ მეცნიერთა აღზრდა. ი. ბერიტაშვილისა და მის თანამოსაგრეთა მრავალი გარჯის შედეგად 1936 წელს ორი კვლევითი დაწესებულება გაერთიანდა და ქართველ ფიზიოლოგთა ნანატრი ფიზიოლოგიის ინსტიტუტიც გაიხსნა. ეს ინსტიტუტი 1941 წელს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დაარსებისთანავე, აკადემიის სისტემაში გადავიდა.

დღეს, როცა ინსტიტუტის დაარსებიდან 50 წელი გავიდა, შეგვიძლია თავმოწონებით გავხედოთ ამ ინსტიტუტის მიერ გავლილ აღმართიან გზას და თან ერთგვარი სიამაყითაც ვთქვთ, რანი ვიყავით გუშინ, რანი ვართ დღეს და რას გვპირდება ინსტიტუტის მუშაობის სამომავლო გეგმა.

1941 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტში მხოლოდ 4 ლაბორატორია მუშაობდა. სამ მთგანს ინსტიტუტის დამაარსებელმა სათავეში ახალგაზრდა მკვლევარები ჩაუყენა, ხოლო მეოთხეს თვით ბატონი ივანე ხელმძღვანელობდა. ამჟამად კი ინსტიტუტში 19 ლაბორატორია და ერთი დიდი სექტორია. სექტორსა და ლაბორატორიების უმრავლესობას მრავალნაციები და ყოველდღიური ცხოვრებისა და ექსპერიმენტატორის ნიჭით დაჯილდოებულ მეცნიერთა აღზრდა. ი. ბერიტაშვილისა და მის თანამოსაგრეთა მრავალი გარჯის შედეგად 1936 წელს ორი კვლევითი დაწესებულება გაერთიანდა და ქართველ ფიზიოლოგთა ნანატრი ფიზიოლოგიის ინსტიტუტიც გაიხსნა. ეს ინსტიტუტი 1941 წელს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დაარსებისთანავე, აკადემიის სისტემაში გადავიდა.

ეს ინსტიტუტი ამჟამად დადებული აქვს მეცნიერული თანამშრომლობის 22 ხელშეკრულება მრავალ სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებასთან და უმაღლეს სასწავლებელთან. იგი მეთაურ ინსტიტუტად ითვლება საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მიერ მოწოდებული სამი თემის დამუშავებაში (ძილ-ღვიძილის ციკლის ნერვული რეგულაცია, უმაღლესი ნერვული მოქმედების ექსპერიმენტული პათოლოგია და თერაპია, დიდი ტვინის ჰემისფეროთა ურთიერთობის მექანიზმები). გარდა ამისა, ინსტიტუტს დავალებული აქვს აწარმოოს კოორდინაცია ეკონომიკური ურთიერთობის საერთაშორისო ორგანიზაციის, ე. წ. „ინტერპოზგის“ ხაზით უმაღლესი ნერვული მოქმედებისა და კლინიკური პათოლოგიის პრობლემათა კვლევაში, ხოლო ვისცერალურ პროცესთა შესწავლის საქმეში იმ თემის დამუშავებაში, რომელიც დასათაურებულია ფიზიოლოგიურ პროცესთა ბიოენერგეტიკის სახელწოდებით. ყოველივე ეს იმის დასტურად მოგახსენეთ, რომ ჩვენი ინსტიტუტი ამჟამად საქვეყნოდ არის აღიარებული მეცნიერულ ცენტრად იმ პრობლემათა კვლევის საქმეში, რომლებიც ამჟამად ბუნებისმეტყველების ერთ-ერთ ფუძემდებელ ნაწილად ითვლება. ამავე პერიოდში ხდებოდა კანის რეცეპტორული ფუნქციის ნეიროფიზიოლოგიური გამოკვლევა. იმ დროისთვის სრულიად ახალი ელექტროფიზიოლოგიური მეთოდების გამოყენებით ინსტიტუტის თანამშრომლებმა შეისწავლეს თავის ტვინის ქერქქვეშა სტრუქტურების — ე. წ. არასპეციფიკური ბირთვებისა და სპეციფიკური სისტემის ურთიერთობის საკითხები. თავის ტვინის ქერქის ელექტრული აქტივობის შესწავლას ინსტიტუტში იმხანადვე დიდი ყურადღება ექცეოდა. ამის შედეგი იყო იმ ფაქტის აღწერა, რომ ძილის დროს დიდი ტვინის ქერქში ორი ძირითადი ფაზა აღინიშნება — „მელტალღოვანი“ და „სწრაფწარმავალი“ ძილისა. მეორე მხრივ საინტერესო გამოკვლევები ჩატარდა ადამიანის თავის ტვინის ქერქის ელექტრული მოქმედების შესასწავლად როგორც ნორმალურ პირობებში, ისე სხვადასხვა პათოლოგიური ცვლილებების დროს.

ი. ბერიტაშვილის მეთაურობით გულდასმით იკვლევდნენ თავის ტვინის სინთეზური მოქმედების ფუნქციას. ამავე დროს დაზუსტდა ის დებულება, რომელიც რომლებთაც შესაძლებელი უნდა გახდეს ურთულესი ნერვული მოქმედების მექანიზმთა წვდომა არა მარტო ნეიროფიზიოლოგიური, არამედ იმ ნეიროქიმიური პროცესების გათვალისწინებითაც, რომლებიც თავის ტვინის სასიცოცხლო მოქმედებას უდევს საფუძვლად. მეორე მხრით ნაგულისხმევია იმ ნერვული სტრუქტურების ნატიფი აგებულების შესწავლაც, რომლებიც უმაღლესი ნერვული მოქმედების სუბსტრატს წარმოადგენენ. ეს სწორედ ის მიმართულებაა, რომლის ზორცშესასხმელად რუდუნებით იღვაწა ივანე ბერიტაშვილმა.

გადავხედოთ წარსულსაც. ინსტიტუტის დაარსების პირველ ხანებში უმთავრესად ნერვისა და კუნთის სასიცოცხლო პროცესებს შეისწავლიდნენ. ამას მოჰყვა მნიშვნელოვანი გამოკვლევები: ზურგის ტვინის საკორდინაციო მოქმედებისა და პირობითრეფლექსური ქცევის შესწავლა ვრცელი პროგრამით. ამავე პერიოდში ხდებოდა კანის რეცეპტორული ფუნქციის ნეიროფიზიოლოგიური გამოკვლევა. იმ დროისთვის სრულიად ახალი ელექტროფიზიოლოგიური მეთოდების გამოყენებით ინსტიტუტის თანამშრომლებმა შეისწავლეს თავის ტვინის ქერქქვეშა სტრუქტურების — ე. წ. არასპეციფიკური ბირთვებისა და სპეციფიკური სისტემის ურთიერთობის საკითხები. თავის ტვინის ქერქის ელექტრული აქტივობის შესწავლას ინსტიტუტში იმხანადვე დიდი ყურადღება ექცეოდა. ამის შედეგი იყო იმ ფაქტის აღწერა, რომ ძილის დროს დიდი ტვინის ქერქში ორი ძირითადი ფაზა აღინიშნება — „მელტალღოვანი“ და „სწრაფწარმავალი“ ძილისა. მეორე მხრივ საინტერესო გამოკვლევები ჩატარდა ადამიანის თავის ტვინის ქერქის ელექტრული მოქმედების შესასწავლად როგორც ნორმალურ პირობებში, ისე სხვადასხვა პათოლოგიური ცვლილებების დროს.

ი. ბერიტაშვილის მეთაურობით გულდასმით იკვლევდნენ თავის ტვინის სინთეზური მოქმედების ფუნქციას. ამავე დროს დაზუსტდა ის დებულება, რომელიც ნა, რომ ცოცხალი ორგანიზმის ქცევას, გარდა რეფლექსურისა, სხვა, უფრო მაღალი რანგის ე. წ. ფსიქონერვიული მოქმედება განაგებს. იგი დაკინებით მოითხოვდა, აუცილებლად შეგვესწავლა ამ რთული მოქმედების ფიზიოლოგიური საფუძვლები და აღწერდა მის ზოგიერთ თავისებურებას. ეს მოსაზრება და სათანადო დასაბუთებანი მან ცალკე წიგნად დასტამბა. ამ მომცრო წიგნს საბჭოელი მეცნიერები ჯერ დუმილით შეხვდნენ, მერე კი, 50-იან წლებში, როცა მკვეთრად გამოკვეთა იმ მოძღვრების ჰეგემონია, რომლის მიხედვით ცოცხალი ორგანიზმების ქცევითი აქტების წარმმართველი მხოლოდდამხოლოდ რეფლექსური, განსაკუთრებით პირობითრეფლექსური მოქმედებაა, ივანე ბერიტაშვილის მოსაზრებებს ქვა და გუნდა დაახალეს, — არა მარტო ფიზიოლოგებმა, არამედ ფსიქიატრებმაც, ფსიქოლოგებმაც და, ასე განსაჯეთ, ფილოსოფოსებმაც კი. სავალალო ის იყო, რომ ორტოდოქს რეფლექსოლოგთა აურზაურს ი. ბერიტაშვილის ზოგიერთი მოწაფეც აჰყვა, თანაც სწორედ ისინი, რომელთაც პირობითრეფლექსური მოქმედების პრობლემები წინათ სულაც არ აინტერესებდათ. მსოფლიოში სახელმოხვეჭილი მეცნიერი იძულებული გახდა დროებით ხელი აეღო ფიზიოლოგიის ინსტიტუტში მუშაობაზე და უკეთესი მერმისის მომლოდინე იმისთვის ზრუნავდა, რომ ინსტიტუტის ალაო თანამშრომლებს გული არ აჭყოდათ მეცნიერულ მუშაობაზე. გამოხდა ხანი. ი. ბერიტაშვილის კონეფციამ კვლავ მოიპოვა მოქალაქეობრივი უფლება და ქართული ფიზიოლოგიის მამამთავარი კვლავ სათავეში ჩაუდგა თავის პირმშო ინსტიტუტის მეცნიერულ მუშაობას. ამის შემდეგ სულ მალე მიეცა დასაბამი იმ მრავალმხრივ მეცნიერულ მუშაობას, რომლის მონაგარს დღეს ბატონ ივანეს მეცნიერული შთამომავალნი ესოდენ თვალნათლივ მატებენ ხვავსა და ბარიქას.

დღეს ინსტიტუტში გულმოდგინედ მუშაობენ მრავალ საინტერესო საკითხს, რომელთა აღნუსხვა საბაზეთო წერილში შეუძლებელია. ერთი რამ კი უნდა ითქვას: ინსტიტუტში ამჟამად ბეჯითად შეისწავლიან არა მარტო თეორიულად საგულისხმო საკითხებს, არამედ ისეთ პრობლემებსაც, რომლებიც გარკვეული პრაქტიკული ღირებულებისანი არიან. ასე, მაგალითად, უმაღლესი ნერვული მოქმედების პრობლემატიკა ისეთ საკითხებსაც გადასწვდება, რომლებიც ნერვული პათოლოგიის ცენტრალური მექანიზმების გარკვევაშიც დაგვეხმარება. მეორე მაგალითიც: პრაქტიკული, კლინიკური ღირებულებისა ის გამოკვლევებიც, რომლებიც ინსტიტუტში თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის მექანიზმებსა და პათოლოგიის პრობლემატიკას მიეძღვნება. უფრო მეტიც: ინსტიტუტში სხვადასხვა ლაბორატორიები თითქმის ყველა საკითხს იმრიგად შეისწავლიან, რომ თითოეულ მთგანს გარკვეული პრაქტიკული ღირებულებაც გააჩნია. ამის ნიმუშია ნეიროფიზიოლოგთა ის ნაკვლევები, რომლებშიც გაშუქებულია ძილ-ღვიძილის ციკლის ნეიროფიზიოლოგიური მექანიზმის საკითხები, თავის ტვინის ქერქისა და ქერქქვეშა სტრუქტურების ურთიერთობის შესწავლის შედეგები, აღწერილია ტკივილისა და ანალგეზიის შესაძლო ცენტრალური მექანიზმები, ემოციათა ნეიროფიზიოლოგიის საფუძვლები, თავის ტვინის ჰემისფეროთა ურთიერთობის ბიოლოგიური არსი და სხვა მრავალი. შეიძლება ითქვას, რომ „წმინდა წყლის“ თეორიული საკითხები ჩვენს ინსტიტუტში იმგვარად მუშავდება, რომ მიღებული შედეგები კლინიკის პრაქტიკასაც მიესადაგოს, სპორტსაც, ფსიქოლოგიასაც და, ასე განსაჯეთ, ფილოსოფიასა თუ ცხოვრებისეულ სხვადასხვა ამოცანათა გადაწყვეტის საქმესაც. წინათაც ასე იყო: ჩვენი ინსტიტუტის თანამშრომლები პრაქტიკულ მოთხოვნებსაც ეხმაურებოდნენ შეძლებისამგრი, სალუსტრაციოდ ერთ, გარდასულ დღეთა ამბავს მოვიგონებ. ომის პირველ დღეებში ინსტიტუტის თანამშრომლებმა დროებით ხელი აიღეს თავიანთ ყოველდღიურ გამოკვლევებზე და თბილისის სამხედრო ჰოსპიტლებს მიაშურეს. აქ ისინი ოსციოლოგრაფიული და ქრონაქსიმეტრიული მეთოდების გამოყენებით ნაყოფიერად ეხმარებოდნენ იქ მომუშავე მედიკოსებს დაჭრილთა და კონტუზიებულ მეომართა დაავადების დიაგნოსტიკისა და მკურნალობის სწორად წარმართვაში.

ჩვენს ინსტიტუტში სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულმა არა ერთმა და ორმა ახალგაზრდამ გაიარა კარგი მეცნიერული სკოლა ნეიროფიზიოლოგიის, ნეიროქიმიისა და ნეირომორფოლოგიის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით. არა ერთი და ორი საბჭოელი თუ უცხოელი მეცნიერი ჩამოსულა ქართველ კოლეგებთან ერთად ამა თუ იმ პრობლემის საკვლევად, არა ერთსა და ორ გამოჩენილ სტუმარს მოუხსენებია აქ თავისი კვლევის შედეგები, რათა ქართველ მეცნიერთა ავტორიტეტული აზრი მოესმინათ. საბჭოთა კავშირისა თუ საერთაშორისო ყრილობებზე, სიმპოზიუმებსა თუ კონგრესებზე ჩვენი ინსტიტუტის ბევრი თანამშრომელი წარმდგარა თავისი მეცნიერული მონაგარის მოსახსენებლად. ტრადიციად დამკვიდრდა ი. ბერიტაშვილის მიერ შემოღებული ე. წ. გაგრის საუბრები, რომელსაც ჩვენი ინსტიტუტი ყოველ 2-3 წელიწადში აწყობს გაგრაში. აქ, ერთი რომელიმე საერთაშორისო პრობლემის განსახილველად თავს იყრიან ხოლმე რჩეულთაგან რჩეულნი.

ინსტიტუტის ბევრ თანამშრომელს მინიჭებული აქვს ი. სეჩენოვის, ი. პავლოვის, ი. თარხნიშვილისა და ი. ბერიტაშვილის სახელობის პრემიები. მოვიგონოთ ისიც, რომ 1941 წელს ივანე ბერიტაშვილს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემია მიანიჭეს.

ინსტიტუტის თანამშრომლებს გამოქვეყნებული აქვთ მრავალი ნაშრომი. ამათგან 193 მონოგრაფიაა და ინსტიტუტის ნაშრომთა კრებულები. რამდენიმე მონოგრაფია უცხოეთში გამოქვეყნდა — [illegible] ინსტიტუტმა. [illegible] 50 წლისთავთან დაკავშირებ[illegible] [illegible] **სიგელით დაჯილდოვდნენ:**

ბექაია გურამ ლუკას ძე — დირექტორის მოადგილე, **ბადოიანი** მაქსიმე გევორქის ძე — ფოტოლაბორატორიის გამგე, **ზაალიშვილი** მალხაზ მიხეილის ძე — მოლეკულური ბიოლოგიისა და ბიოლოგიური ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, **თოთიბაძე** ნანა კონსტანტინეს ასული — უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, **კლეინი** ელენე ებერჰარდის ასული — უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, **მოლოლენენკო** ვიქტორ ივანეს ძე — ლაბორატორიის გამგე, **მოხიძე** ვახტანგ მიხეილის ძე — ლაბორატორიის გამგე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, **ჭარიკაშვილი** სერგო პავლეს ძე — ლაბორატორიის გამგე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, **ონიანი** თენგიზ ნესტორის ძე — ლაბორატორიის გამგე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, **ორჯონიკიძე** ციალა ალექსანდრეს ასული — უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, **როიტბაკი** ალექსანდრე ილიას ძე — ლაბორატორიის გამგე, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, **სვანიძე** იგორ კონსტანტინეს ძე — ლაბორატორიის გამგე, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, **ქორიძე** მანანა გრიგოლის ასული — უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, **ძიძიშვილი** ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე — ლაბორატორიის გამგე, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, **ჭანტურია** ხაირა ეპიფანეს ასული — უფროსი ლაბორანტი.

საპატიო წოდებათა მინიჭება

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ს. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის დაარსების 50 წლისთავთან დაკავშირებ[illegible] [illegible] [illegible] [

გამოფენები მოძრავიდან მუდმივისაკენ

თბილისის მხატვართა სახლში გაიხსნა ქართველ ფერმწერთა სამოცდაათიანი წლების თაობის ნამუშევრების რეტროსპექტული გამოფენა.

ექსპოზიცია შეიცავს შვიდასზე მეტ ნაწარმოებს. ყოველი მხატვარი წარმოდგენილია სულ ცოტა ათი სურათით. ესენია თანამედროვეთა პორტრეტები, ძველი თბილისის ხედები, მშობელი ხალხის ისტორიის ამსახველი ნაწარმოებები.

ავტორთა შორის არიან უკვე ცნობილი ფუნჯის ოსტატები: რესპუბლიკის დამსახურებული მხატვარი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი გ. ალექსი-მესხიშვილი, დამსახ ურ.ებული მხატვარი, სქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატი თ. გოცაძე, დამსახურებული მხატვრები ო. კაჭკაჭიშვილი, თ. ხუციშვილი და სხვები.

ვერნისაჟზე გამოვიდა საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, რესპუბლიკის სახალხო მხატვარი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ელგუჯა ამაშუკელი. მან თქვა, რომ ნამუშევართა უმრავლესობას ახასიათებს თემების აქტიური ძიება და მკაფიო მხატვრული გადაწყვეტები, მოქალაქეობრიობა, სამყაროს ინდივიდუალური ხედვა, მდიდარი პალიტრა და მრავალფეროვანი გამომსახველობითი საშუალებები. ახლანდელი ექსპოზიცია მესამეა საქართველოს სხვადასხვა თაობის ფერმწერთა ნაწარმოებების გამოფენების ციკლში.

პერსპექტივაშია გრაფიკოსთა და მოქანდაკეთა ვერნისაჟები.

— რეტროსპექტულ გამოფენათა მიზანი ეს არის, — თქვა საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში მხატვართა სახლის დირექტორმა თ. გოცაძემ, — რომ გაიცნოს დამთვალიერებლებს საქართველოს სახვითი ხელოვნების სხვადასხვა პერიოდი.

მაგრამ დაქსაქსული, ერთმანეთს მიყოლებული გამოფენები ვერ შეუქმნიან მნახველს მთლიან წარმოდგენას ქართული სახვითი ხელოვნების განვითარებაზე. ამისათვის, სასურველია ყველა საუკეთესო ნაწარმოები, ფერწერაში, გრაფიკასა და ქანდაკებაში რომ შექმნილა მრავალი წლის მანძილზე, მუდმივ მოქმედ ექსპოზიციად გაერთიანდეს.

ჩვენ არაერთგზის დავსვეთ საკითხი, რომ თბილისში შეექმნას თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი ზოგიერთი მოკავშირე რესპუბლიკაში არსებული მუზეუმების მსგავსად.

ამ პრობლემის გადაჭრა აქტუალურად მიგვაჩნია „სახვითი ხელოვნების შემდგომი განვითარების“ და „მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში მისი როლის ამაღლების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ამასწინანდელი დადგენილების შესაბამისადაც.

ი. გაბუნია,
(საქინფორმი).

ШВИДОБІС ШВИДІ ГОЗІ

— **ერთმანეთისათვის** რომ გაგვეგო, შვიდი ნოტიც კი საკმარისი აღმოჩნდა, — კბაყოფილია თბილისელ მუსიკოსებთან და მსმენელებთან შეხვედრით პოლ ენდრიუ — ვაკთა გუნდ „სლავიანკას“ ხელმძღვანელი. სან-ფრანცისკოდან ჩამოსული კოლექტივი, რომელიც ტურისტულად მგზაურობს საბჭოთა კავშირში, გამოვიდა საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებაში. მოკლე ინტერვიუ კონცერტის შემდეგ, რომელზეც შესრულდა ზანგური „სპირიტიუელსები“, სლავი ხალხების სიმღერები, ქართული მრავალხმიანი საგალობლები...

გასული საუკუნის დამდეგს ახლანდელი სან-ფრანცისკოს მახლობლად დაარსდა რუსული კოლონია — ფორტ როსი. ეს სახელწოდება, ისევე როგორც სხვები — სევასტოპოლი, მოსკოვის გზა — დღემდე შემორჩა. გუნდს კი ეწოდა პატარა მდინარე სლავიანკას სახელი — მის შესართავთან დამკვიდრდნენ რუსეთის წარმომადგენლები. სხვათა შორის, მათი ერთ-ერთი შთამომავალი დევიდ ჩაიკა ამხანაგებს ეხმარება რუსული ენის შესწავლაში. ყველა სიმღერა — ასეთია გუნდის ტრადიცია — ორიგინალის ენაზე სრულდება.

ქართულ ენაზე შესრულდა იმ საღამოს „შენ ხარ ვენახი“. სწორედ ამ სიმღერით დაიწყო შვიდი წლის წინათ „სლავიანკას“ რეპერტუარი. მას შემდეგ გუნდის ოთხი წევრი დაოჯახდა და თითოეულის ქორწილზე სრულდებოდა ძველი ქართული საგალობელი. ახლანდელ კონცერტზე გუნდს შეუერთდა საქართველოს ტელევიზიის მუშაკთა ანსამბლი „ეურნალისტი“. მისმა მონაწილეებმა ამერიკელებს გააცნეს ეროვნული ფოლკლორის მდიდარი მუსიკალური პალიტრა. „კრიმპჭულის“ შემსრულებელთა ვირტუოზობა სტუმრებმა ფეხზე დგომით და „ბრავოს“ შეძახილებით შეაფასეს.

— ჩვენი შემოქმედებითი შეხვედრა კარგი გამოდგა, — ჯამებს თბილისელებთან მუსიკალური დიალოგის შედეგებს პ. ენდრიუ. — ქართველ ეურნალისტთა ანსამბლის ფირზე ჩაწერილი გამოსვლა შეაესებს ჩვენს ფონოთეკას, რომელშიც ბევრი საბჭოური დისკია. გვაქვს ანსამბლების „გორდას“, „რუსთაველი“ ფირფიტები, ოთარ თაქთაქიშვილის ნაწარმოებები.

და კიდევ. მუსიკაში მთავარია ჰარმონია. სიმღერის სიყვარულმა გააერთიანა ჩვენს გუნდში ბევრი სხვადასხვა ეროვნების, ასაკისა და ხასიათის ადამიანი. მაგრამ ეს შესაძლებელია, თუ ადამიანი მეორე ადამიანში მტერს კი არა, მეგობარს ხედავს. ჩვენ მშვიდობისა და ურთიერთგაგების მომხრე ვართ და აქ მეგობრებად ჩამოვედით!

ზ. საფრაზიანი,
საქინფორმის კორ.

ХІДІ ЦХЕНІСЦЫАЛЗЕ

ლენტეხი. (საკ. კორ.). მამშელები მწვავედ განიცდიდნენ, რომ მდინარე ცხენისწყალზე კაპიტალური ხიდი არ იყო გადებული. და აი, საგზაო-საწარმოო უბნის კოლექტივმა აქ უნიკალური, რკინის კონსტრუქციებიანი ხიდი ააგო.

უბნის გამოცდილ მშენებლებს რ. ხაბულიანს, დ. მუკანიანს, მ. ონიანს, ნ. ხაბულიანს და ზ. ჯამბურიძეს ურთულეს პირობებში უხდებოდათ მუშაობა. ხიდის ბურჯების აგების პროცესში ისინი აბობოქრებულ მდინარის თავზე თოკებით დაკიდებულნი ასხამდნენ რკინაბეტონის ხსნარს, ადგილზე მიჰქონდათ ხიდის დეტალები. ამიტომ იყო, რომ მათ სოფელ მამშის მცხოვრებთა მადლობა დაიმსახურეს.

СОФЕЛЬС ШЕЕМАТА

ხელვაჩაური. (საკ. კორ.). მახინჯაურში ახლახან საექსპლოატაციოდ გადაეცა რაიკოოპერატივის სამსართულიანი უნივერმაღი. იგი ცეკავშირის № 6 მოძრავ-მექანიზებული კოლონის კოლექტივმა აშენა.

დაბას შეემატება მომსახურების მთელი კომპლექსი. აშენდება კაფე-სასადილო, სასურსათო, საკონდიტრო და საკომისიო მაღაზიები.

САИРКІС САГАНДЖУРІ

ბუნძლული წაბლის (წმინდა ხის) ტოტები. როცა კოცონი ჩაიფერფლა და რიტუალი აღსრულდა, მოედანზე შემოიტანეს შეწირულობანი. სათუთად პრეპარირებულ ნახშირის ფენაში ვარსკვლავებივით გაბრწყინდა ორი ათას ხუთასი წლის წინათ დაყრილი ათობით ოქროს ნივთი. სამყურა ბალახის ფორმის საკერებლებთან ერთად აქ აღმოჩნდა მგლოვიარე პობაში წარმოდგენილი, ნისკარტჩამოშვებული, ფრთებჩამოყრილი არწივების ოქროს ბალთა და ცილინდრული ფორმის ოქროს მილაკები, რომელთა ზედაპირი ცვარათი შედგენილი სამკუთხედებითაა დაფარული. ამგვარი ოქროს მილაკები ადრეც აღმოჩენილა საირხეში, მაგრამ მათი დანიშნულების დადგენა მაშინ ვერ მოხერხდა. ახლა აღმოჩენამ ნათელყო, რომ მილაკები ტყავის თასმაზე იყო ასხმული და ქამრის მოსართავ ნაწილებს წარმოადგენდნენ. ოქროს ბეჭდებიდან, რომლებსაც კლასიკური ხანის ამ სახის სამკაულისათვის დამახასიათებელი უზანგისებრი ფორმის ფარაკები აქვთ, მხოლოდ ერთია — საბეჭდავი ბეჭედი, რომლის ზედაპირზეც ხარია გამოსახული. რკალტორთულიან ოქროს საყურეებთან, ოქროს სამაჯურებთან, ნახვრეტებიან ოქროს კოვზთან ერთად ოქროს ზოდიც აღმოჩნდა. ამ უკანასკნელს ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. სატეხით შუაზე გაჭრილი ოთხკუთხედგანივკვეთიანი ოქროს ზოდი ამტკიცებს, რომ ეს ნაკეთობანი ადგილობრივ სახელოსნოებშია დამზადებული. უნდა ვიმედოვნებდეთ, რომ მოსალოდნელია იმ სახელოსნოების ნაშთების აღმოჩენა საირხეში, სადაც იქმნებოდა საიუველირო ხელოვნების ეს ძვირფასი ნიმუშები.

საირხის მრავალფეროვან მონაპოვართა შორის დღემდე ვერცხლის ნივთები მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტების სახით იყო წარმოდგენილი. წელს შესანიშნავი ფორმის ბრინჯაოს სარკესთან ერთად, აქ აღმოჩნდა გრეხილტარიანი ვერცხლის კოვზი, ოფალოსიანი ფიალა და სურა. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით საინტერესოა იმ მხრივ, რომ იგი უძველესი კოლხური ხელოვნებისათვის დამახასიათებელი ეგრეთ წოდებული ზენური ხვიებითაა შემკული. სურა არქიტექტონიკითაც ადგილობრივი ჭურჭლის ფორმებს უახლოვდება. ამ ამდენად, იგი ქართული ტორევტიკის ერთ-ერთ უძველეს ნიმუშად შეიძლება მივიჩნიოთ. ფიალაზე, რომელიც ჯერ ქმიურად არ არის დამუშავებული და გაწმენდილი, ცხოველებია გამოსახული, ერთი მათგანი დინამიკურ პოზაშია და ირიმს (?) განასახიერებს.

შედარებითი ანალიზი საფუძველს იძლევა, ქართული კულტურის ეს მნიშვნელოვანი განძი ძველი წელთაღრიცხვის მეოთხე საუკუნის პირველი ნახევრით დავათარიღოთ.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ექსპედიციამ ლითონის საწარმოო უბნებსაც მიაკვლია. ადგილ-სახოველში აღმოჩნდა რკინა-ბრინჯაოს დნობასთან დაკავშირებული ხელოსნური ნაწარმის ნაშთები, ლითონის სადნობი ჭურის საკშენი მილები, ტიგელები და რკინის წიდები. აქვე გაითხარა საშუალო ფენის (შესაძლოა, ხელოსანთა) სამარხები, რომლებიც არისტოკრატთა აკლდამებში მოპოვებულ მდიდრულ ნივთებთან ერთად, ძვირფას მასალას იძლევა ანტიკურ-ელინისტური ქალაქისა და ამდენად, — ძველ ქართული სახელმწიფოებრიობის სოციალური სტრუქტურის საკვლევად.

ამ მნიშვნელოვან ნაქალაქარს სწავლობს მუზეუმის განყოფილება, რომელშიც სულ ექვსი მეცნიერი თანაშრომელია (ამირან დავითაშვილი, გია მახარაძე, გორა ლომთაძე, ზურა ბრაგვაძე, მანანა წერეთელი და ნანა დარაბელიძე). ისინი ცოდნასა და ენერგიას არ იშურებენ იმისათვის, რომ ძველი თანამედროვე მეცნიერული მეთოდებით იქნეს გათხრილი და შესწავლილი.

გათხრებს გულისყურით ეკიდებიან და ხახმარებას გვიწევენ საჩხერისა და ჭიათურის პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელი მუშაკები, რასაც ვერ ვიტყვით რესპუბლიკური დაქვემდებარების ცალკეულ უწყებათა ზოგიერთ ხელმძღვანელზე. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ექსპედიციას უტრანსპორტოდ უხდება მუშაობა. აი, უკვე წელიწადნახევარზე მეტია, ვერ მოხერხდა ლიმიტის გამოყოფა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ გადმოცემულ ამორტიზებულ მანქანაზე, რომელიც მუზეუმის ეზოში იყანგვა და იშლება. არადა, ხომ არსებობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საგანგებო დადგენილება ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის გაუმჯობესების შესახებ?! იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალში მეტი ყურადღება მიექცევა საირხის ნაქალაქარის — ეროვნული კულტურის ამ ერთ-ერთი უძველესი და მნიშვნელოვანი კერის შესწავლას.

ჯურხა ნადირაძე,
ექსპედიციის ხელმძღვანელი.

სურათებზე: საირხის არქეოლოგიური ექსპედიციის ახალი აღმოჩენა; ოქროს ყელსაბამები, მედალიონი და საყურეები, რომლებიც ძველი წელთაღრიცხვის IV საუკუნით თარიღდება.

მ. ჩაჩუას და ა. მაჭავარიანის ფოტო.

მიწისქვეშა საუკუნეები

აი, უკვე ხუთი წელია, რაც საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიცია ყოველი სეზონის დასასრულს თავისებურ ანგარიშს აბარებს „კომუნისტის“ მკითხველებს. საქართველოს უძველესი კულტურითა და ისტორიით დაინტერესებული საზოგადოებრიობისათვის კარგად არის ცნობილი საჩხერის რაიონის სოფელ საირხის ტერიტორიაზე მიკვლეული ანტიკურ-ელინისტური ხანის ნაქალაქარი, სადაც ქართული კულტურის უაღრესად მნიშვნელოვანი ძეგლები გამომზეურდა. მოპოვებული მასალის უდიდესი ნაწილი უკვე საქართველოს სსრ ხელოვნების მუზეუმის საგამოფენო დარბაზებს ამშვენებს და ყოველი მხილველი გრძნობს, მაღალგანვითარებული ცივილიზაციის ამსახველი მხატვრული კულტურის ეს ძეგლები რა ძვირფას სიმუთს წარმოადგენს ძველი ქართული სახელმწიფოებრიობის სოციალურ-კულტურული და პოლიტიკურ-ეკონომიკური ისტორიის შესასწავლად. უძველესი ხუროთმოძღვრების, ლითონის საწარმოო ნაშთების, ქვის, მინის, ბრინჯაოსა და თუნის ნაწარმის გვერდით, განსაკუთრებული ბრწყინვალებით არის წარმოდგენილი ნატიფად ნახელავი ოქროს ნივთები, ნა ხელავი ვერცხლის ჭურჭელი და ამრავალფეროვნებს წინაქრისტიანული ხანის ქართულ საიუველირო ხელოვნებას.

დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე (ვანის შემდეგ) არსად ისე უხვად, მრავალფეროვნად და მაღალმხატვრულად არ გამომზეურებულა ქართული ოქრომჭედლობა, როგორც საირხეში. ამ ორი უძველესი ნაქალაქარის ფერფლწყაროლ ფენებში მოპოვებული ათიათასობით ნივთი აკცოცხლებს ძველ ბერძენთა ლეგენდებს ოქრომრავალ კოლხეთზე, უძველესი დროიდან რომ მომდინარეობდა და კლასიკური ხანის მწერლებმა თავისებურად გამოაკაპიტეს. არისტოტელეს მიიჩნევენ კოლხეთის ლეგენდარული მეფის აიეტის ეპიტაფიის ავტორად, რომელიც ამბობს, „ოქრომრავალი კოლხეთის მეფე აიეტი ღმერთების ყოვლისმძლე სვემ აქ გაამაღიოისნაო“. ეპიტაფიის ავტორად ზოგჯერ ფსევდო არისტოტელესაა დასახელებული. კლასიკური და მომდევნო ხანის მწერლები კოლხეთს ოქრომრავალ ქვეყნად წარმოგვიდგენენენ, და ამ ლეგენდარულ ცნობებს თვალნათლივ გვიდასტურებს არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული ოქრომჭედლობის მრავალი ნიმუში.

ისევე როგორც გასულ წლებში, წელსაც საირხის მონაპოვარმა ნათლად წარმოაჩინა კოლხეთის ოქრომრავლობა. შესანიშნავად ნახელავ ვერცხლის ჭურჭელთან ერთად მზის სინათლე იხილა სხვადასხვა ტექნიკით ნაკეთებმა, მრავალგვარი ფორმის ასობით ოქროს ნივთმა, რომელთაგან ულამაზესი სამკაულებია შედგენილი.

გათხრების შედეგად გაირკვა, რომ ნაქალაქარის ცენტრში აღმართული სამადურის გორა, კერძოდ კი მისი დასავლეთი ფერდობი წარმართული რელიგიის საკულტო ადგილი ყოფილა, სადაც დაკრძალვის წესთან დაკავშირებული რიტუალები იმართებოდა. ამ მიზნით აქ საკმაოდ რთული და შრომატევადი სამუშაოებიც ჩაუტარებიათ. რამდენიმე წელია ითხრება საკულტო ორმო, რომელიც მიწაში 11 მეტრზეა ჩაჭრილი, მისი რადიუსი 4 მეტრს აღემატება; აქ ასობით მატერიალური და მხატვრული კულტურის ნაშთი დაფიქსირდა: სამრეკლო და სამეურნეო იარაღსაჭურველთან ერთად, დიდი რაოდენობით აღმოჩნდა ადგილობრივი თუნის ნაწარმის ნაშთები, ვერცხლისა და მინის ჭურჭლის ცალკეული ფრაგმენტები, ოქროს ნივთები, ბერძნული კერამიკა და ნელსაცხებლებისათვის განკუთვნილი „იმპორტული“ ამფორები. ყურადღებას იქცევს აგრეთვე სამანგებოდ მოწყობილი საკულტო მოედნები (წმინდა ცეცხლისათვის), რომლებზედაც მრავალი შეწირულობანია აღმოჩენილი. ერთ-ერთი მათგანის გარშემო რიტუალი გვიან შემოდგომაზეა შესრულებული, რაზეც მიუთითებს ვრცელ მოედანზე დაშრეევებული ნახშირის სქელი ფენა, სადაც ათობით კარგად შემონახული, ნახშირად ქცეული წაბლის ნაყოფი დაფიქსირდა. სრულიად აშკარაა, რომ აქ დიდხანს გიზგიზებდა ნაყოფით დატენილ ოქროს ჯამი. ეს ადგილი ალბათ ეკუთვნოდა ტაძარს, ან ეკლესიას, ან ეროვნულ ტაძარს, ან ეროვნულ ეკლესიას, ან ეროვნულ ტაძარ-ეკლესიას, ან ეროვნულ ეკლესია-ტაძარს